თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 116, 1965
ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА т. 116, 1965

მიხეილ სვანიძე

ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში (1578 წ.)

ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში და, კერძოდ, საქართველოში ლაშქრობასთან დაკავშირებით მოიპოვება მრავალრიცხოვანი წყაროები როგორც ქართულ, ისე თურქულ, სპარსულ და ევროპულ ენებზე [1]. მიუხედავად წყაროების ასეთი სიუხვისა აღნიშნული საკითხი არ ყოფილა სპეციალური კვლევის საგანი, თუმცა ამ პრობლემის ზოგიერთი მხარე განხილული აქვს როგორც საბჭოთა, ისე ევროპიელი და თანამედროვე თურქ ისტორიკოსებს [2].

ჩვენ შევეცადეთ ნაწილობრივ შეგვევსო ეს ხარვეზი. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს.

---

[1] სამი ისტორიული ქრონიკა. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., თბ. 1890 წ.; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.) ქრ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961 წ.; ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., თბ., 1942 წ.; ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა 1913 წ.· ფ. გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., საისტორიო მოამბე წ. II, თბ.. 1925 წ.;

عالی نصرتنامی تاریخ سلانیکی؛ تاریخ پچوی؛

[1] M. B r o s s e t, Histoire de la Georgie, Addision, Iskender Mounchi. v. 11, S. Petersbourg, 1956; შერეფ-ნამე, თარგმანი კ. ტაბატაძისა, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, ტ. II, თბილისი, 1962 წ. Don Jouan of Persia, Relation, London. 1926; M i n a d o i T o m a s o, Historia della guerra fra Turchi et Persiani. Turin, 1588, A Chronicl of Carmelitis in Persia. London, 1939; Charrière. Negosiation de la France dans le Levant... v. III, Paris, 1851; Relationi degli ambasciatori Veneti al Senato... s. III, v. II, Firenze, 1844;

[2] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1948 წ.; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნ. I, თბ., 1943; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, „სათათრო გამოსაღები" გვიანფეოდალურ საქართველოში. მიმომხილველი, ტ. II, თბ., 1953 წ.; მისივე, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მას. საქ. და კავკას. ისტ. ნ. II, თბ., 1954 წ.; გ. ტ ი ვ ა ძ ე, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI ს-ში, მნათობი, 1947, № 10; მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, სამხრეთ საქართველოს ბრძოლის ისტორიიდან XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, აჭარის მუზეუმის შრომები, ტ. II, ბათუმი, 1957 წ; Петрушевский И. П., Азербайджан в XVI—XVII в.в., Сбор. по истории Азербайджана, вып. I, Баку, 1949; Наджарян У. Х. Турецко-иранские отношения в XVI в. и в первой половине XVII в. и Армения, Ереван, 1961 г. (На армянском языке). J., H a m m e r Histoire de l'empire Ottoman, v. VII, Paris, 1837; R., K n o l l e s The General history of the Turkes... London,1631; Uzunçarŝili I. H. Osmanli tarihi, c. III, Ankara, 1951; D a n i ŝ m e n d, I. H. Izahli Osmanli tarihi kronolojisi, c. III, Istanbul, 1959; Mufassal Osmanli tarihi, c. III, Istanbul, 1959;

* * *

XVI საუკუნის დამდეგიდან ოსმალო სულთნები განსაკუთრებული დაჟინებით ცდილობდნენ გაეფართოებინათ ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრები. მაგრამ ამ გეგმის განხორციელების საქმეში მათ სეფიანთა ირანი ეღობებოდა. ოსმალეთ-ირანის 50 წლიანი ომი, რომლის ერთერთ მთავარ ასპარეზს ამიერკავკასია წარმოადგენდა, 1555 წლის ამასიის ზავით დამთავრდა[1]. მართალია, ოსმალებმა ირანის წინააღმდეგ ომში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ ოსმალეთი არ იყო კმაყოფილი ზავის პირობებით და ხელსაყრელ დროს უცდიდა, რათა ირანის წინააღმდეგ ახალი ომი გაეჩაღებინა.

ოსმალეთს განსაკუთრებით აინტერესებდა ამიერკავკასიის დაპყრობა, რადგანაც მისი ხელში ჩაგდებით, ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა უშუალოდ დაეწყო შეტევა ჩრდილოეთ-დასავლეთიდან საკუთრივ ირანის წინააღმდეგ. კასპიის ზღვის სანაპიროს დაპყრობით, ოსმალეთს შესაძლებლობა ეძლეოდა განემტკიცებინა ურთიერთობა შუა აზიის ხანებთან, რომლებიც აგრეთვე გამუდმებულ თავდასხმებს აწყობდნენ ირანზე. გარდა ამისა, ოსმალეთისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიაზე გამავალ სავაჭრო-სატრანსპორტო გზების ხელში ჩაგდებას. ამავე დროს, ოსმალეთი მიისწრაფოდა ხელთ ეგდო ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო მაგისტრალი, ევროპა-აზიის ეს ახალი სავაჭრო გზა.

ამიერკავკასიის დაპყრობით და ჩრდილოეთ კავკასიაში გაბატონებით ოსმალეთი უპირისპირდებოდა რუსეთს, რომელიც ამ დროს თანდათანობით სამხრეთისაკენ მოიწევდა და ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ კავკასიის ხალხებს მფარველად ევლინებოდა.

ოსმალეთისათვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ამიერკავკასიის დაპყრობას, მისი ბუნებრივი რესურსებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდების თვალსაზრისითაც.

1576 წელს სტამბოლში ჩავიდა ირანის ელჩი თოქმაკ-ხანი და სულთანს ძვირფასი საჩუქრები მიართვა. თოქმაკ-ხანის ელჩობის მიზანი იყო მურად III ტახტზე ასვლა მიელოცა და 1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავი განეახლებინა[2]. სტამბოლში ირანის ელჩს ცივად შეხვდნენ და იგი მალე სამშობლოში დაბრუნდა.

1576 წელს გარდაიცვალა შაჰ-თამაზ I. მისი გარდაცვალების შემდეგ ირანში დაიწყო ბრძოლა ყიზილბაშ ამირებს შორის, ტახტზე მათთვის სასურველი უფლისწულის ასაყვანად[3].

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან... გვ. 67, 8. 1555 წლის ზავით ოსმალეთმა და ირანმა საქართველო დაინაწილეს. ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი ირანს ერგო, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი — ოსმალეთს. საქართველო არ ცნობდა ზავის პირობებს და იბრძოდა როგორც ოსმალო, ისე ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

[2] **Mufassal Osmanli tarihi, 1959, c. III, s. 1313; I. H D a n i ş m e n d, Izahli Osmanli tarihi kronolojisi, c III, s. 1313; J. H a m m e r, Histoire de l'empire Ottoman, v. VII, p. 67, 68.**

[3] შაჰ-თამაზ I რვა შვილიდან, ოთხი ქართველი ქალისაგან ჰყავდა, ტახტისათვის დაწყებულ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ირანში მყოფი გაყიზილბაშებული ქართველები. ისინი ცდილობდნენ ერთერთი, დედით ქართველი უფლისწულის (ჰაიდარ-მირზას) აყვანას

თამაზ I სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა შაჰ-ისმაილ II, მაგრამ მის ძმა-ხანს არ უმეფია და 1577 წელს ტახტზე აყვანილ იქნა მუჰამედ ხუდაბანდე, ნახევრად ბრმა და სუსტი ნებისყოფის ადამიანი. ქვეყანაში შიდაპოლიტიკური ბრძოლა გრძელდებოდა.

ირანში დაწყებული აშლილობა, ოსმალეთის მთავრობის თვალსაზრისით, ხელსაყრელ დროს წარმოადგენდა ირანის ნაწილის და ამიერკავკასიის დამორჩილებისათვის. ოსმალეთის სულთანი ვარაუდობდა, რომ მას ყიზილბაშთა სახელმწიფო ეფექტურ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და მან გადასწყვიტა ირანის წინააღმდეგ ომის დაწყება.

თანამედროვე თურქი ისტორიკოსები, ირან-ოსმალეთის ომის დაწყების მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ირანმა დაარღვია 1555 წლის საზავო ხელშეკრულების პირობები და ერაყის და შეჰრიზოლის რაიონებში ოსმალეთის საზღვრებზე თავდასხმა მოახდინა[1].

თურქი ისტორიკოსების ეს მოსაზრება სინამდვილეს არ შეესაბამება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირან-ოსმალეთის ომის წამომწყები ოსმალეთი იყო, რომელიც აღმოსავლეთში ახალ დაპყრობებზე ოცნებობდა და ეძებდა ხელსაყრელ მომენტს თავისი განზრახვის განხორციელებისათვის. ირანში შექმნილი მდგომარეობა, სწორედ ასეთ ხელსაყრელ ვითარებას ჰქმნიდა, რაც კიდევაც გამოიყენა ოსმალეთის მთავრობამ.

თანამედროვე თურქი ისტორიკოსების ამ ნაყალბევს ამხელენ საკუთრივ ოსმალური წყაროები. ასე, მაგალითად, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით: „985 წლის პატიოსანი შეველის თვეში (1577 12/XII—1578. 9/I) ვანის ბეგლარბეგმა ხუსრევ ფაშამ სამეფო კარს არზა გაუგზავნა და მოახსენა: ირანის ქვეყანაში შაჰი ისმაილ II თამაზ შაჰის ძე გარდაიცვალა და მის ადგილზე დაჯდა მისი ძმა ბრმა და უსინათლო მუჰამედ ხუდაბანდეს სახელით... ეს სწორედ მოსახერხებელი შემთხვევაა სამხედრო ნადავლის საშოვნელად და მტერზე შურის საძიებლად. როდესაც ეს ვითარება ბედკეთილ ფადიშაჰს მოხსენდა, მან დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება სარდლის დანიშვნისა და საომარი მზადების შესახებ“[2]. მოტანილი ცნობიდან ნათლად ჩანს, ოსმალეთის დაპყრობითი ზრახვები ირანის მიმართ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო და საინტერესოა თანამედროვე თურქი ისტორიკოსი დანიშმენდის მოსაზრება, რომ „საქართველოში ოსმალთა ლაშქრობას სამართლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საბაბი ჰქონდა“[3]. შემდეგ დანიშმენდი მოგვითხრობს, რომ შაჰ-თამაზ I შვილმა და მემკვიდრემ ისმაილ II ალამუტის ციხიდან გაანთავისუფლა ქართლის მეფე სიმონ I და იგი თბილისის გამგებლად დანიშნა დაუდ-ხანის ადგილზე. ამას საქართველოში ახალი საშინაო ბრძოლა უნდა გამოეწვია. დაუდხანმა ელჩი გაუგზავნა, სულ-

ტახტზე. შერეფ-ნამე, ტ. II, გვ. 252, ციტირებულია კ. ტაბატაძის მიხედვით: შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ, კავკასიურ-ახლო-აღმოსავლური კრებული, თბილისი, 1962 წ., ტ. II, გვ. 175.

[1] **Mufassal Osmanli tarihi**, c. III, s 1318; **I. H. Danişmend, op. cit. c. III, s. 14.**

[2] تاریخ عجوی استانبول ۱۲۸۱ ტ. II., გვ. 36, 37; თარგმანი, ს. ჯიქია, ი. ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბ. 1964, გვ. 36, 37.

[3] **„Gürcistan seferinin açilmasinda hukuki bakimdan fevkalade mühim bir sebep de vardir“. I. H. Danişmend, op. cit. c. III, s. 17,**

თანს მორჩილება გამოუცხადა და ირანელების წინააღმდეგ დახმარება ითხოვა. დანიშმენდს თავისი მოსაზრების დასადასტურებლად მოაქვს შემდეგი ციტატა „ქართლის ცხოვრებიდან“ (ბროსეს თარგმანი): „რა ეს ამბავი (სიმონ მეფის ტყვეობიდან განთავისუფლება — მ. ს.) თფილისის ქალაქს მჯდომს მეფეს დავითს მოუვიდა, იწყინა და ხვანთქართან ჩაფარი გაგზავნა და ლაშქარი სთხოვა“[1]. მართალია, 1576 წელს ირანის შაჰმა სიმონ I ტყვეობიდან გაანთავისუფლა, მაგრამ იგი ქართლის გამგებლად არ დაუნიშნავს და მაშინვე არ დაუბრუნებია საქართველოში. ირანის შაჰმა სიმონი საქართველოში გამოისტუმრა მხოლოდ ოსმალეთის საქართველოში შემოჭრის შემდეგ. ქართული წყაროების მიხედვით სიმონი სამშობლოში 1579 წელს დაბრუნდა[2]. ამის გამო ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ დაუდ ხანს დახმარება ეთხოვოს სულთანისათვის. დავუშვათ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა სწორია და რომ დაუდ ხანმა ელჩი გაუგზავნა სულთანს და მას დახმარება სთხოვა. მაგრამ ის, თუ როგორ შეხვდა დაუდ ხანი მის „დასახმარებლად“ წამოსულ ლაშქარს, ნათელყოფს ოსმალეთის ლაშქრის ჭეშმარიტ მიზანს. მეგობრული მიზნით წამოსულ ლაშქარს, როგორც ამას წარმოგვიდგენს დანიშმენდი, რასაკვირველია, არ უწევენ წინააღმდეგობას. სრულიად საწინააღმდეგო ვითარება შეიქმნა საქართველოში: დაუდ ხანმა პასუხი არ გასცა ლალა-ფაშას წერილს და მიმართა ისეთ უკიდურეს ზომას, როგორიცაა თბილისის გადაწვა, თვითონ კი მთებს შეაფარა თავი. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ოსმალები ქართლში მოდიოდნენ არა დაუდ ხანის მოწვევით, არამედ საკუთარი ინიციატივით, ქვეყნის დასაპყრობად.

დახიშმენდი აგრეთვე ცდილობს დაამტკიცოს, რომ დაუდ ხანის მსგავსად ამიერკავკასიის სხვა გამგებლებმაც დახმარება სთხოვეს ოსმალეთს და მას მორჩილება გამოუცხადეს[3]. არც ეს შეესაბამება სინამდვილეს. ალის „ნუსრეთნამედან“ ვიცით, რომ ლალა მუსტაფა ფაშა, ვიდრე ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ ლაშქრობას დაიწყებდა, ამ ქვეყნების გამგებლებს წერილები გაუგზავნა და მათგან მორჩილება მოითხოვა[4]. ასეთი ხასიათის წერილების გაგზავნა სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ამ ქვეყნების გამგებლები ლალა მუსტაფა ფაშას დახმარებას თხოვდნენ, არამედ, პირიქით, ლალა ფაშა მოითხოვდა მათგან დახმარებას. მართალია, ამიერკავკასიის რიგმა გამგებელმა ლალა ფაშას მორჩილება გამოუცხადა, მაგრამ ეს მორჩილება იძულებითი იყო.

ამრიგად, თანამედროვე თურქი ისტორიკოსები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ამიერკავკასიაში ოსმალთა ლაშქრობა მოეწყო თვით ამ ქვეყნების გამგებლების „თანხმობით“, მათი „მოწვევით“, რაც ისტორიული სინამდვილის გაყალბებაა.

---

[1] ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 518; შდრ., **Danişmend**, დასახ. ნაშრ. გვ. 17.

[2] იქვე, გვ. 372.

[3] I. H. Danişmend. op. cit. c. III, s. 17.

[4] عالی نصرتنامی გვ. 15—29, 69, 70, 84. ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან გადმოღებული ხელნაწერის ფოტოპირები. თარგმანი ეკუთვნის პროფ. ს. ჯიქიას, ვსარგებლობ შემოხვევით და უღრმეს მადლობას მოვახსენებ მას თარგმანის მოწოდებისათვის.

1577 წლის ბოლოს ოსმალეთის სულთანმა გადაწყვიტა დაეწყო ომი ირანის წინააღმდეგ[1]. სულთანმა ლაშქრის მთავარსარდლად ლალა მუსტაფა ფაშა დანიშნა.

1578 წ. 5 აპრილს ლალა ფაშამ სტამბოლი დასტოვა და მრავალრიცხოვანი ლაშქრით ირანის წინააღმდეგ საომრად გაემართა. მას დავალებული ჰქონდა ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა და მისი ოსმალეთისათვის დამორჩილება.

ოსმალეთის ლაშქარი მეტად მრავალრიცხოვანი იყო. დონ ხუან სპარსელის ცნობით, ოსმალეთის ლაშქარი 200000 კაცისაგან შესდგებოდა: მასში მონაწილეობას ღებულობდნენ ფრიგიელები, პალესტინელები, იუდელები, პონტოელები, ეგვიპტელები, უნგრელები, აფრიკელები, ბერძნები და სხვ. აქედან 100000 მეომარი იმ დროისათვის კარგად იყო შეიარაღებული. ლაშქარს თან ახლდა 500-მდე სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი[2]. ტ. მინადოის ცნობით, ოსმალთა ლაშქარი 300.000 კაცს შეადგენდა[3].

ოსმალური წყაროები და თანამედროვე თურქი ისტორიკოსები ლალა ფაშას ლაშქრის რაოდენობას საგრძნობლად ამცირებენ. ლაშქრობაში მონაწილეობა ებრძანა 5.000 იანიჩარს, რამდენიმე სიფაჰთა და ჯებელთა ბოლუქს, მეზარბაზნეებს. მთავარსარდლის ლაშქარს უნდა შეერთებოდნენ არზუმის, დიარბექირის, სივასის, ყარამანიის, მარაშისა და ჰალეპოს ბეგლარბეგები თავიანთი ლაშქრით. გარდა ამისა ომში მონაწილეობა დაევალა აგრეთვე ყირიმის ხანს თავისი ლაშქრით[4].

ლალა ფაშამ დასტოვა სტამბოლი და ჯარითურთ უსქუდარში გადავიდა. იქიდან კი გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო. ოსმალეთის ლაშქარმა გაიარა იზმითი, კონია, კაისერი, სივასი, ვანი და არზრუმში ჩავიდა. ლაშქრის მეორე ნაწილი ზღვით გაემგზავრა და ტრაპიზონში დაბანაკდა.

გზადაგზა ლალა ფაშას ლაშქარს სხვადასხვა პროვინციების კამგებლები უერთებოდნენ თავიანთი ლაშქრითურთ.

3 ივლისს ლალა ფაშა არზრუმში ჩავიდა და იქ 20 დღე დაჰყო.

---

[1] E., Charrière. op. cit. v. III, p. 723. ოსმალეთში ირანის წინაღმდეგ ომის დაწყებას ყველა როდი უჭერდა მხარს. ასე, მაგალითად, ოსმალეთის დიდი ვეზირი მეჰმედ სოკოლუ ირანთან ომის წინააღმდეგ გამოდიოდა, მისი აზრით, ოსმალეთის ლაშქარი ირანის სამფლობელოების დაპყრობის შემთხვევაშიც კი, ვერ შეძლებდა დაპყრობილი ტერიტორიის დამორჩილებას. ამავე დროს, ომის შედეგად მოპოვებული ნადავლი ვერ დაფარავდა ომის ხარჯებს, რის გამოც ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდებოდა. დიდ ვეზირს თავისი პოზიციის გასამტკიცებლად მოჰყავდა სულეიმან ბრწყინვალეს მაგალითი, რომელმაც მიუხედავად ირანთან ომში მოპოვებული სამხედრო წარმატებებისა, მაინც ვერ შეძლო დასახულ მიზნის განხორციელება. მიუხედავად ამ არგუმენტაციისა მეჰმედ-ფაშას მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს. ირანთან ომის დაწყების მომხრეთა შორის იყვნენ ლალა მუსტაფა ფაშა (სულთანის აღმზრდელი და კვიპროსის დამპყრობი) და სინას ფაშა (არაბეთის დამპყრობი).

[2] Don Juan of Persia, Relationes, trad. of espanol, London, 1926. გვ. 136.

[3] Thomaso Minadoi, Historia della guerra fra Turchi et Persiani. Turin, 1588. p. 16.

[4] تاريخ پچوی ტ. II, გვ. 38: Mufassal Osmanli tarihi, c. III, s. 1318.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია პროფ. გ. ტივაძის შეხედულება, რომ „მუსტაფა ლალა ფაშა მიუხედავად ზამთრის არახელსაყრელ-ლიპირობებისა, დაიძრა არზრუმისა და ყარსის მიმართულებით“[1].

არზრუმში ლალა მუსტაფა ფაშამ ლაშქარი დაასვენა და სურსათ-სანოვაგე მოამარაგა.

იტალიელი მისიონერის ცნობით ლალა ფაშამ არზრუმში აღლუმი მოაწყო. რამდენიმე სპარსელი ტყვე კედელზე აიყვანეს იმ განზრახვით, რომ მათ კარგად დაენახათ თურქეთის ლაშქრის შეიარაღება და ძლიერება, რაც მათზე უდავოდ დიდ შთაბეჭდილებას დატოვებდა. ერთი ამ ტყვეთაგანი ლალა ფაშამ გაათავისუფლა და შაჰთან წერილი გაატანა. შაჰისადმი გაგზავნილ წერილში ლალა მუსტაფა ფაშა წერდა: „დიდად ბრწყინვალე სპარსეთის შაჰო! მე, მუსტაფა ფაშა, სულთან მურადის ვეზირი და ოსმალეთის იმპერიის მთელი ჯარების მთავარსარდალი, გაცნობებთ, რომ აქ მოსული ვარ ურიცხვი ქვეითი ჯარით, 300,000 ცხენოსანითა და 600 ქვემეხით. ექვსი ათასი იანიჩარით, რათა დავსაჯო ისინი, ვინც თქვენი ძმის ისმაილის მოწამლაში დამნაშავეა და ამისათვის ქრისტიანი ქართველების ქვეყანა უნდა დავიკავო, ხოლო თუ თქვენი უზენაესობა გზას გადამიღობავს და ამ ხალხის დაცვას შეეცდება, მაშინ ჩემი მბრძანებლის მითითების თანახმად, იძულებული ვიქნები აგრეთვე თქვენ შეგებრძოლოთ. ეს დიდი სახელი არ იქნება ჩემთვის, თუკი თურქეთის დიდი სულტანის მონა თქვენ, როგორც სპარსეთის მეფეს, დაგატყვევებთ; ხოლო საწინააღმდეგო რომ მოხდეს, თქვენ უსაზღვრო სახელს მოიხვეჭავთ მთელ ქვეყანაზე, თუ კი ისეთ კაცს, როგორც მე ვარ, ტყვედ ჩაიგდებს თქვენნაირი მეფე. გნებავთ ამაზე მიპასუხეთ, მანამდე შირვანს მივადგებოდე და ამ ხალხს დავსჯიდე“[2].

ლალა მუსტაფა ფაშას მიერ შაჰისადმი გაგზავნილ წერილში ჩვენთვის, უპირველესად ყოვლისა, საინტერესოა შემდეგი: ლალა ფაშა შაჰს აცნობებდა, რომ იგი მისი ძმის მკვლელების დასჯას აპირებდა, შაჰის ინტერესების „დამცველად“ გამოდიოდა და ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად თვლიდა საქართველოს დაპყრობას.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ი. ფეჩევის ცნობა: „ყიზილბაშებთან ჯერ კიდევ დაზავებასა და მშვიდობიანობაზე იყო ლაპარაკი. ოღონდ საქართველოს ბეგებიდან ზოგიერთები ურჩობდნენ და, ამიტომ, ამბობდნენ ისინი, (ოსმალები — მ. ს.) მათ დასამორჩილებლად და დასაწყნარებლად მოვდივართო“[3].

მოტანილი ცნობებიდან ჩანს, რომ ოსმალეთს ირანთან ომის დაწყების საბაბი არ ჰქონდა, ამიტომ ირანთან დაწყებული ომის მიზეზად საქართველოს ურჩი ბეგების „დაწყნარებას“ ასახელებდა.

ლალა ფაშამ წერილები გაუგზავნა აგრეთვე ამიერკავკასიის მფლობელ-გამგებლებს. მათ შორის კახეთის მეფეს ალექსანდრეს, იმერეთის მეფე გიორგის, ათაბაგ მანუჩარს, გურიელს და დადიანს. ლალა ფაშა მათ თურქეთის მორჩი-

---

[1] გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI ს-ში, „მნათობი“, 1947 წ., № 10, გვ. 65.

[2] A Chronicl of carmelites in Persia, London, 1939, v. 1, გვ. 62.

[3] جوجو خيرات ტ. II, გვ. 38. თარგმანი, ს. ჯიქია, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

ლებასა და ირანის წინააღმდეგ ომს მოუწოდებდა[1]. ისე ჩანდა თითქოს ამით იგი თავის „ადრესატებისაგან" სულთანთან მხოლოდ ვასალური დამოკიდებულების დამყარებას მოითხოვდა. მაგრამ მოვლენების მსვლელობამ მალე გამოამჟღავნა მისი ნამდვილი ზრახვები.

არზრუმიდან გამგზავრების წინ ლალა მუსტაფა ფაშამ სამხედრო საბჭო მოიწვია. მასზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჯერ საქართველოს და შემდეგ შირვანისა და დაღისტანის დაპყრობა[2].

23 ივლისს ლალა ფაშამ არზრუმი დატოვა და აღმოსავლეთისაკენ გაემართა. 5 აგვისტოს ოსმალეთის ლაშქარი არტაანში მივიდა. არტაანის აღმოსავლეთიდან იწყებოდა საქართველოს (სამცხე-საათაბაგოა) საზღვარი[3]. ამ დროს სამცხე-საათაბაგოში შინაფეოდალური ბრძოლა მიმდინარეობდა, რის გამო ქვეყანა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუმზადებელი აღმოჩნდა. სამცხის ფეოდალების ერთი ნაწილი ოსმალეთის მხარეზე გადავიდა და მას მოლაპარაკება გამოუცხადა. ამით აიხსნება, რომ მიუხედავად ქართველების მედგარი წინააღმდეგობისა ოსმალებმა დაიწყეს სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა.

„მესხური ქრონიკა" შემდეგნაირად გადმოგვცემს ამ ამბავს: „პარასკევს დღესა. 8 მარიამობისთვესა ქაჯის ციხე, ველი და თეთრი-ციხე წაგვართვეს ურუმთა და ქაჯის ციხის მეციხოვნენი შემოეხოცნეს"[4].

ოსმალეთის ლაშქარი ლალა მუსტაფა ფაშას წინამძღოლობით ჩილდირისაკენ გაემართა. ჩილდირის ველზე ოსმალებს გზა გადაუღობეს ყიზილბაშებმა. ირანელთა ლაშქარს სარდლობდნენ თოკმაკ-ხანი და განჯის ბეგი იმამ-ყულიხანი. 1578 წ. 9 აგვისტოს ოსმალებსა და ირანელებს შორის ჩილდირის ველზე გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა. ირანელთა ლაშქარი 30 ათას კაცს შეადგენდა. როგორც ოსმალური წყაროებიდან ჩანს, ირანელთა მხარეზე ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას. ბრძოლის დროს კოკისპირული წვიმა წამოვიდა, რამაც გააძნელა ოსმალთა არტილერიის მოქმედება, რაშიაც ოსმალებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ ირანელებზე. ჩილდირის ბრძოლა მეტად ცხარე ხასიათს ატარებდა და ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა. ოსმალებმა 500 ტყვე და ნადავლი ჩაიგდეს ხელში. 5000 ყიზილბაში ბრძოლის ველზე დაიღუპა.

ჩილდირის ველზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ოსმალებს საშუალება ეძლეოდათ დაეწყოთ ლაშქრობა ქართლისა და შირვან-აზერბაიჯანის წინააღმდეგ.

ჩილდირის ბრძოლის შემდეგ, როდესაც გაიოკვა, რომ გამარჯვება ოსმალებს ხვდა წილად, მანუჩარმა გადაწყვიტა ოსმალებისათვის მორჩილება გამოეცხადებინა. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ცნობა მოეპოვება ი. ფეჩევის: „ხსენებული მთავარი (მანუჩარი — მ. ს.) 6 ათასი შეიარაღებული აზნაურით მოვიდა და მთის კალთებიდან გამარჯვებულს და დამარცხებულს

---

[1] عالی نصرتنامی გვ. 15, 18, 62, 70, 79, 80.

[2] Mufassal Osmanli tarihi, c. III, s. 1319.

[3] Mufassal Osmanli tarihi, c. III, s. 1319, 1320; I. H. Danişmend, op. cit., c. III, s. 21.

[4] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.). ტექსტის პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ. 1961 წ., გვ. 47, სამი ისტორიული ქრონიკა. ე. თაყაიშვილის გამოც., თბ., 1890 წ., გვ. 98.

თვალყურს ადევნებდა. იდგა იქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული [illegible] მას აპატიებდა. და როგორც კი გაიგო, თუ რა ბედი ეწვია თოკმაკ-ხანს, წამოვიდა (მანუჩარი) და დილას ღირსეული სარდლის კარავში მოვიდა“ [1].

დაახლოებით იგივე შინაარსის ცნობა მოაქვს მეორე ოსმალო ისტორიკოსს მუსტაფა სელიანიქს: „დედაბრის შვილის (ასე უწოდებს მანუჩარის დედას — დედისიმედს — მ. ს.) სახელით ცნობილი, ლივას მფლობელი მანუჩარი, რომელიც საქართველოს სახელოვან ამირთაგანი იყო, ძლიერ და განდიდებულ აზნაურებთან ერთად უცქეროდა და ელოდა, რომელი მხარე გაიმარჯვებდა. როდესაც ისლამიის თუღის ფუნჯებზე გამარჯვების ნიავმა გადაიქროლა, მახვილი და შურისძიება დაინახა, მთელი თავისი ქვეშევრდომებით მოვიდა, თავისი ქვეყნის ციხეების გასაღებები მთავარსარდალს მოუტანა და ჩააბარა. რადგანაც ბედნიერების ცენტრის ზღურბლს თხოვა, რომ სურვილი აქვს პატივნაცემი გახდეს ისლამის დიდებით, გაიცა ბრძანება მისი (თხოვნის) სტამბოლში გასაგზავნად“ [2].

ლალა მუსტაფა ფაშას მანუჩარის მორჩილება დიდად ესიამოვნა. მან მანუჩარი დიდი სიხარულითა და პატივით მიიღო და საზეიმო შეხვედრა გაუმართა. ოსმალეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მანუჩარის მხარდაჭერას ირანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. დონ ხუან სპარსელის ცნობით, ლალა მუსტაფა ფაშამ მანუჩარი დიდი ალერსით მიიღო და ამის შესახებ სულთანს აცნობა, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა, მომავალი დიდი ამბების დასაწყისის კარგი მაჩვენებელი [3].

მინადოის ცნობით, მანუჩარის მოსვლამ ოსმალთა ბანაკში გააორკეცა მუსტაფას სიხარული. მან ბრძანა, რომ ყველა ფაშა და ჯარის ნაწილების სხვა მეთაურები სრული წესრიგით, დიდი ზეიმის მოწყობით, საყვირების დაკვრით, ზარბაზნების სროლითა და სიხარულით მიგებებოდნენ მანუჩარს და მიეცილებინათ იგი ლალა ფაშას კარავამდე. როცა მანუჩარი გამოცხადდა ოსმალთა სერასკესთან, ამ უკანასკნელმაც, თავისი მხრივ, გაამეორებინა ზარბაზნებისა და თოფების სროლა, საყვირებისა და დაფ-დაფების დაკვრა. მართალია, ლალა ფაშამ მანუჩარი დიდი სიხარულითა და პატივით მიიღო და საზეიმო შეხვედრა გაუმართა, მაგრამ იქვე უსაყვედურა და დასძინა, რომ მისთვის კიდევ უფრო სასიამოვნო იქნებოდა, თუ იგი მის მოწოდებას დროზე გამოეხმაურებოდა და მასთან დაუყოვნებლივ გამოცხადდებოდა [4].

როდესაც მანუჩარი ლალა მუსტაფა ფაშასთან გამოცხადდა და მას მორჩილება გამოუცხადა, ამ დროს მთავარსარდლის კარავის წინ მოიყვანეს რამდენიმე ათასი ყიზილბაში და მათ თავი წააცალეს. ეს აქტი, როგორც ჩანს, მანუჩარისა და მისი მომხრეების „დასამშვიდებლად“ იყო მოწყობილი. „ეს გარემოება, დას-

---

[1] تاریخ پچوی ტ. II, გვ. 87, 88, შდრ. ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ. გვ. 41.

[2] تاريخ سلانيكى ١٢٨١ استانبول გვ. 147. გ. ფუთურიძე, მუსტაფა სელინიქი საქართველოს შესახებ. თსუ შრომები, 1960, ტ. 91, გვ. 263.

[3] Don Jouan of Persia, Relationes, p. 36.

[4] Minadoi. op. cit. p. 30.

ძენს ი. ფეჩევი. მათთვის (ქართველებისათვის — მ. ს.) დიდი მაგალითი მომქცევი და ჩამაგონებელი შეიქმნა“[1].

ერთი სიტყვით, ლალა ფაშამ მანუჩარს აგრძნობინა. რომ თუ იგი მორჩილებაზე უარს იტყოდა მას იგივე ბედი ეწვეოდა. რაც დატყვევებულ ყიზილბაშებს.

მანუჩარის „მორჩილებით“ ხლება ლალა ფაშას გარკვეულ წარმატებას მოწმობდა. მაგრამ ეს „ხლება“ მანუჩარის თვალსაზრისით, ჩანს, უპირო მორჩილებას არ ნიშნავდა. ოსმალური და ევროპული წყაროების ანალიზი გვარწმუნებს, რომ „მორჩილების“ პოლიტიკურ ფორმაში სულ სხვადასხვა შინაარს სდებდნენ სამცხის ათაბაგი და ხონთქარის სარდალი.

მანუჩარისა და ლალა ფაშას მოლაპარაკებიდან. აგრეთვე, ირკვევა. რომ იგი ოსმალებს სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეული ქვეყნის მთავრად ეცნოთ. ამას მოწმობს ალის „ნუსრეთ-ნამეში“ მოყვანილი მანუჩარის შემდეგი მოთხოვნა: „მანუჩარმა ბრწყინვალე პორტას წერილი გაუგზავნა. თავისი მორჩილება აცნობა და მის გამგებლობის ქვეშ მყოფი ადგილები რომ მისთვის ებოძათ, ამის შესახებ უავგუსტოესი ხელშეკრულება (عهد نامهٔ همایون) მოითხოვა“[2].

მორჩილების პირობად მანუჩარ ათაბაგმა. ლალა ფაშას წაუყენა ის. რომ მანუჩარი ლალა ფაშასაგან მოითხოვდა ქრისტიანობის შენარჩუნებასა და მისი მამაპაპეული სამფლობელოების დაბრუნებას[3].

ამრიგად. მანუჩარი ლალა ფაშასაგან მოითხოვდა, იგი ეცნოთ თავისი სამფლობელოს სუვერენულ მმართველად. ათაბაგის ტიტულისა და ქრისტიანობის შენარჩუნებით. ათაბაგი. ცხადია. გულისხმობდა ისეთ ურთიერთობას (მოძალადეს დასაკმაყოფილებლად), როგორსაც ოსმალეთი ჩვეულებრივ აღიარებდა ხოლმე საქართველოს იმ ნაწილებში. სადაც დამპყრობელი იძულებული იყო კომპრომისის გზას დასდგომოდა და მოხარკეობას დასჯერებოდა. ამგვარი ურთიერთობის პირობებში მანუჩარ II ათაბაგს ორგვარი მოვალეობა დაეკისრებოდა: 1. თავისი ჯარით მონაწილეობა მიეღო ოსმალეთის ლაშქრობაში, 2. თავისი პასუხისმგებლობით მოეკრიფა ხარკი თავის სამფლობელოში ხონთქარისათვის.

მანუჩარს კარგად ესმოდა. რომ შექმნილ ვითარებაში მოხარკეობაზე უფრო მსუბუქ ფორმას ის ვერ მოითხოვდა. სულ სხვას აპირებდა ოსმალეთის ლაშქრის სერასკერი. ლალა მუსტაფა ფაშა თავისებურად აკმაყოფილებდა მანუჩარ II ათაბაგის მოთხოვნას. იგი. მართალია. ბატონობას უნარჩუნებდა ათაბაგის სახლის წევრები. მაგრამ მხოლოდ ოსმალეთისათვის მისაღებ ფორმაში ოსმალეთს სამცხე-საათაბაგოში აკმაყოფილებდა არა მოხარკეობაზე დაფუძნებული დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა. არამედ დაპყრობილი ქვეყნის

---

[1] تاریخ پچوی ტ. II. გვ. 41; თარგმანი, ს. ჯიქია, დასახ. ნაშრ. გვ. 41.

[2] عالی نصرتنامی გვ. 71.

[3] عالی نصرتنامی გვ. 71: საყურადღებოა, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ კონსტანტინოპოლში მყოფი ვენეციის ელჩის ცნობით, მანუჩარმა ლალა-ფაშას მოთხოვა მისთვის გადაეცათ 40 ქალაქი და 40 სოფელი. **Relationi degli ambasciatori Veneti al Senato, s. III, v. v. II, p. 442.** უნდა ვიფიროთ, რომ აღნიშნული ქალაქები და სოფლები სამცხე-სათაბაგოში მდებარეობდნენ

სრული ინკორპორაცია, მისი საფაშოდ გადაქცევა. სანჯაყებად დაქუცმაცებულ ოსმალებს აქ მოხელე (ფაშა) სჭირდებოდათ და არა მთავარი (ათაბაგი) ამავე დროს, ქვეყნის უკეთ დაპყრობა-დამორჩილების მიზნით. ოსმალები დაუყოვნებლივ შეუდგნენ მის დანაწევრებას, სანჯაყებად დაყოფას. ოსმალეთს არ სურდა, რომ სამცხე-საათაბაგო ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეული ყოფილიყო. ლალა ფაშამ მანუჩარს სანჯაყად აწყური, ხოლო მის ძმას გიორგის (ყვარყვარეს) — ოლთისი გადასცა. მაგრამ, ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ოლთისიც მანუჩარისთვის უბოძებია. უმცროს ძმას ბექას და დედამისს (დედისიმედს) კი რამდენიმე სოფელი იქტას წესით მიეცა[1].

ლალა მუსტაფა ფაშას ამ ღონისძიებიდან კარგად ჩანს ოსმალთა ნამდვილი მიზანი დაპყრობილი, მაგრამ ჯერ ისევ დასამორჩილებელი, ქვეყნის მიმართ ოსმალეთის განზრახვა აშკარაა: ქვეყნის სანჯაყებად დაყოფამ საწინდარი უნდა შექმნას მისი დამორჩილებისათვის, უნდა განაპირობოს აქ ოსმალური წესების შემოღება, ქვეყნის გაოსმალება (ოსმალები ამას უკვე ახორციელებდნენ სამცხე-საათაბაგოს მათთვის ადვილად მისაწვდომ ნაწილში, სადაც ოსმალებმა ადრევე შედგეს ფეხი).

ამავე დროს, ლალა ფაშა ათაბაგის სახლის წევრებს შორის მფლობელობის განაწილებით ფაქტიურად აფორმებდა ქვეყნის პოლიტიკურ დაქუცმაცებულობას („დაჰყავი და იბატონე"): თანაც ამგვარ ღონისძიებაში ათაბაგის სახლის წევრებს შორის თესავდა განხეთქილების ისეთ თესლს, რომლის გაღვივება მხოლოდ ოსმალეთისათვის იქნებოდა სასარგებლო.

ლალა ფაშა მარჯვედ მოქმედებდა. მას, მხარს უჭერდნენ ათაბაგის მოღალატე ქართველი ფეოდალები.

ლალა ფაშას მიერ ქვეყნის სანჯაყებად დაყოფა აღნიშნულია თანამედროვე ქართულ წყაროშიც. „მესხური ქრონიკა" საზოგადოდ ადასტურებს ოსმალური წყაროების ცნობებს და რიგ შემთხვევაში, კიდევაც ასწორებს და ავსებს მათ. თანამედროვე ქართული მემატიანე ზემოთ აღწერილი ამბის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „პატრონი მანუჩარ ქაჯის ციხეს შეეყარა, ვერც ლაშქრის ომსა და ვერც ციხეების აღებას ვერ მიესწრა. ამილახორი შვილი ქოიარ მიეგება არტაანს და ორი ციხე მან შესღუნა ლალა-ფაშასა მარიამობის თვეს ორსა. აგრეთვე არფაქსად ჰბოძებდა ჰბირებოდა უქუსით ციხითა მას წინათ და ხერთვისი და ხუთი ციხე მას შეუძღვნა: და პატრონს მანუჩარს თან მიჰყვა. იმ წამს გამოჰგვარეს, ციხეები გამოართვეს და ხახული სახანჯაროდ მისცეს"[2].

მანუჩარ ათაბაგი, ჩანს იძულებული იყო (ლალა ფაშას უზარმაზარი ჯარი მის ქვეყანაში იდგა და მთავარი ციხეები დაკავებული ჰქონდა) შექმნილ ვითარებას შერიგებოდა. ამის თქმის საბაბს გვაძლევს მისი ზემომოტანილი წერილის შინაარსი, სამცხე-საათაბაგოს ოსმალეთთან ურთიერთობის პოლიტიკურ ფორმასთან დაკავშირებით. მოვლენების განვითარებიდან ჩანს, რომ მანუჩარი ამ თვალსაზრისზე ხელის აღებას არ აპირებდა. სათანადო წყაროებიდან ირკვევა, რომ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მანუჩარი და, საერთოდ, მისი სახლის

---

[1] عالی نصرتنامی გვ. 73; I. H. Danişmend, op. cit. c. III. s. 23; Mufassal Osmanli tarihi, c. III, s. 1321, 1322; Hammer, op. cit. v. VII, p. 84.

[2] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, გვ. 43; სამი ისტორიული ქრონიკა, გვ. 99.

წევრები (მანუჩარის მეუღლე ელენე და ვაჟიშვილი მანუჩარ III) ოსმალეთის დამოკიდებულებას მოხარკეობის საფუძველზე მოითხოვდნენ. ხოლო ოსმალები კი. ქვეყნის აღწერის შემდეგ. არავითარ შემთხვევაში ამაზე არ თანხმდებოდნენ.

ლალა მუსტაფა ფაშას აღნიშნული ღონისძიებანი მხოლოდ „ოსმალობის" დასაწყისს ნიშნავდა. უფრო შორს წასვლა იმ დროს სახიფათო ჩანდა. ლალა მუსტაფა ფაშას თავისი ჯარით გზა ქართლისა და შირვან-აზერბაიჯანისაკენ ეჭირა. სანამ ეს ქვეყნები დასაპყრობი იყო მანუჩარის „ერთგულებას" ოსმალეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. შირვან-აზერბაიჯანის დაპყრობის შემდგომ მდგომარეობა მთელს ამიერკავკასიაში ოსმალთა სასარგებლოდ შეიცვალა. აღსანიშნავია. რომ სწორედ ამის შემდეგ ოსმალებმა ალექსანდრე კახთა მეფეს ხარკი დაუმძიმეს. კახთა მეფეც იძულებული იყო მისართმეველის მაგიერ ოსმალთა სასარგებლოდ სავალდებულო ხარკის გამოღება ეკისრა[1].

ჩილდირის ველზე გამარჯვების შემდეგ. ოსმალებს გზა ქართლისაკენ გახსნილი ჰქონდათ და ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქარი თბილისისაკენ გაემართა. ამ დროს ქართლის გამგებლად გამაჰმადიანებული დაუდ ხანი იჯდა. ლალა ფაშამ დაუდ ხანს წერილი გაუგზავნა და მორჩილება მოსთხოვა. ლალა ფაშას წერილს დაუდ ხანმა პასუხი არ გასცა. მან სცადა ოსმალეთისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მალე დარწმუნდა. რომ ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა შეუძლებელი იყო. თბილისის მოსახლეობა ქალაქიდან გაიხიზნა, დაუდ ხანმა თბილისი გადასწვა და ლორეს წავიდა. ქართულ წყაროში ნათქვამია: „გაიარეს. წავიდეს თფილისის ქალაქზე. ის დაუთხან დაწვა და გაეცალა. ლორეს ჩავიდა"[2].

24 აგვისტოს ოსმალებმა თბილისი დაიკავეს. ქალაქის აღების შემდეგ ისინი აქ თავიანთ წესების შემოღებას შეუდგნენ. ქართლის დაპყრობას კი თბილისის (ქართლის) საბეგლარბეგო დაარსება მოჰყვა. მის გამგებლად ლალა მუსტაფა ფაშამ კასტამუნიის სანჯაყ ბეგი სოლაკ ფერჰად ფაშას-ძე მუჰამედ ბეგი ფაშის წოდებით დანიშნა. ოსმალებმა ქალაქში ორი ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს, ხოლო თბილისის დასაცავად 2000 ჯარისკაცი და 100 ქვემეხი დატოვეს[3].

საჭიროა შევნიშნოთ. რომ თანამედროვე თურქი ისტორიკოსი დანიშმენდი ტენდენციურად აშუქებს ოსმალების მიერ თბილისის დაპყრობას და იქ მათ „საქმიანობას". დანიშმენდი წერს. „ოსმალების მიერ თბილისის აღების შემდეგ. მოსახლეობამ ქალაქში დაბრუნება დაიწყო. ქალაქში კიდევ უფრო კარგი მდგომარეობა და წესრიგი დამყარდა. ვიდრე წინათ იყო. მისივე აზრით. „ოსმალებმა ქვეყანა ანარქიისაგან (არეულობისაგან) იხსნეს[4].

დანიშმენდის ამ „მტკიცებას" აქარწყლებენ როგორც ოსმალური, ისე ევროპული წყაროები (სელიანიკი. ფეჩევი, მინადოი. დონ ხუან სპარსელი). სადაც

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, „სათათრო გამოსაღები" გვიანფეოდალურ საქართველოში. „ბიბლიოთეკა", ტ. II, გვ. 136.

[2] ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 522.

[3] عالى نصرتنامى გვ. 74,5; I. H. D a n i ş m e n d, op. cit. c. III. s. 23: Mufassal Osmanli tarihi. c. III, s. 23.

[4] I. H. D a n i ş m e n d, op. sit. c III, s. 23.

აღნიშნულია, რომ ოსმალების მიერ თბილისის დაპყრობის შემდეგ ქალაქში ფა-ტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. თბილისი ფაქტიურად ალყაშემორტყმული იყო და ოსმალებს არა ჰქონდათ საშუალება ქალაქიდან გასულიყვნენ, ვინაიდან მათ თავს ესხმოდნენ ქართველთა პარტიზანული რაზმები. ქალაქში საშინელი შიმშილი და ეპიდემია მძვინვარებდა. ოსმალებმა არაერთხელ სცადეს ალყაშემორტყმული თურქი მეციხოვნეებისათვის სურსათ-სანოვაგე და დახმარება აღმოეჩინათ, მაგრამ უშედეგოდ. ასეთ ვითარებაში ლაპარაკი ოსმალების ზრუნვაზე ქალაქის კეთილმოწყობისათვის ისტორიული სინამდვილის უხეშ დამახინჯებას წარმოადგენს.

ქართლისა და თბილისის დაპყრობის შემდეგ ლალა მუსტაფა ფაშა ენერგიულად შეუდგა აქ ოსმალური მართვა-გამგეობისა და ოსმალური წესების შემოღებას, რასაც უნდა გაეპირობებინა ქართლში ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დაპყრობა, მისი ინკორპორაცია. ამაზე შემდეგი ფაქტები მეტყველებენ:

ქართლის მოსახლეობაზე გადასახადების გაწერის მიზნით, ვფიქრობთ, ამ დროს ოსმალებმა თბილისი და მისი მიდამოები აღწერეს და თბილისის დავთარი შეადგინეს[1].

ქართლის აღწერის შედეგად ოსმალებმა თბილისის საბეგლარბეგო დააარსეს. მისი წლიური შემოსავალი ერთ მილიონ აბჩას შეადგენდა[2].

ოსმალებმა თბილისის საბეგლარბეგოსთან ერთად გორში სანჯაყი შექმნეს[3]. ქართული წყაროები ნაწილობრივ ადასტურებენ ოსმალურ წყაროებში დაცულ ცნობებს. ვახუშტი წერს: „ოსმალთა დაიპყრეს ქართლი და ჰყვეს ტფილისი საფაშოდ, გორი აღაშენეს და ჰყვეს სანჯაყად"[4]. ამასთანავე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ლალა მუსტაფა ფაშა თბილისისა და გორის გამგებლებად (ბეგლარბეგებად და სანჯაყბეგებად) საქართველოს სამეფო გვარის შთამომავალს, ან გამაჰმადიანებულ ქართველ დიდებულებს კი არ ნიშნავდა, არამედ ოსმალო მოხელეებს. ასე, მაგალითად, თბილისის ბეგლარგებად დანიშნულ იქნა კასტამუნიის სანჯაყბეგი სოლაკ ფერჰად ფაშას-ძე მეჰმედ ფაშა, ხოლო გორის სანჯაყ ბეგად - ჰუსეინ ბეგი[5].

ამავე დროს, ქალაქში ოსმალები შეუდგნენ ციხეების შეკეთება-აშენებას და შიგ ოსმალო მეციხოვნეების ჩაყენებას.

მიუხედავად აღნიშნული ღონისძიებების გატარებისა, ოსმალებმა ვერ შეძლეს დასახული მიზნის განხორციელება და სულ მალე ისინი იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ და კომპრომისის გზას დასდგომოდნენ. ეს უპირველესად ყოვლისა აიხსნება ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლით.

თბილისის დაპყრობის შემდეგ ლალა ფაშამ კურსი შირვანისაკენ აიღო. ქალაქიდან გასვლის შემდეგ მასთან ალექსანდრე კახთა მეფის რწმუნებულები

---

[1] თბილისის დავთრის ფრაგმენტი აღმოჩენილ იქნა ბულგარეთის არქივში ბულგარელი თურქოლოგის ვ. მუტაფჩიევას მიერ. ამ დავთრის მიკროფილმი ბულგარეთიდან ჩამოიტანა და ჩვენ გაგვაცნო დოც. კ. მეშველიანმა, რაზედაც ულრმეს მადლობას მოვახსენებ.

[2] I. H. Danişmend, op. cit. c. III, 23; Mufassal Osmanli tarihi, c. III, s. 1322

[3] იქვე.

[4] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ბ. ჯიჯინაძის გამოც., გვ. 44.

[5] I. H. Danişmend, op. cit. c. III, s. 23. Mufassal Osmanli tarihi. c. III. s. 1323

ვამოცხადდნენ და ოსმალო სარდალს მორჩილება გამოუცხადეს. 1 სექტემბერს სართიჭალასთან ალექსანდრე კახთა მეფე დიდებულებით პირადად გამოცხადდა ოსმალო სერასკერის ბანაკში. ქართულ წყაროში ნათქვამია: „აგრეთვე კახი მეფე, ბატონიშ ლევანის შვილი პატრონი ალექსანდრე. მიეგება ლალა ფაშასა, სართის-ჭალას შეეყარა“ [1].

ლალა მუსტაფა ფაშამ ალექსანდრე კახთა მეფე პატივით მიიღო და საზეიმო შეხვედრა გაუმართა. ალექსანდრე მეფემ ლალა ფაშას მორჩილების პირობად მოითხოვა წინათ მის მფლობელობაში მყოფი მხარეების დაბრუნება და ქრისტიანობის შენარჩუნება [2]. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით საყურადღებოა — ალექსანდრე კახთა მეფე ოსმალეთთან ურთიერთობის პირობად აყენებს ქრისტიანობის შენარჩუნებას. ქართველობის დაცვის ერთერთ ძირითად საშუალებას და წინათ კახეთის სამფლობელოში მყოფი მიწა-წყლის დაბრუნებას, მაშასადამე, ალექსანდრე ცდილობს მტრული ძალა. ოსმალეთის ლაშქრის სახით, ვამოიყენოს თავისი ამეფოს ინტერესების სასარგებლოდ.

შექმნილ ვითარებაში ლალა ფაშა იძულებული გახდა დათანხმებოდა ალექსანდრე კახთა მეფის მოთხოვნას. ლალა ფაშა ალექსანდრე მეფეს წერდა: „ამიერიდან თქვენი (ალექსანდრეს მ. ს.) სურვილების შესაბამისი პირობით გადაწყვეტილია, რომ თქვენი ციხე-სიმაგრეები და მხარეები კეთილნაშენად და კეთილმოწყობილად დარჩეს ზუსტად თქვენი გულის სურვილის მიხედვით თქვენს რჯულში იქნეთ დატოვებული და მოწინააღმდეგთაგან დაბრუნებულ ციხეებს დაეუფლოთ და დაიპყროთ“ [3].

ოსმალეთსა და კახეთს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე დამყარდა. კახეთის ოსმალეთთან დამოკიდებულების შედარებით მსუბუქი ფორმის დაწესება, უპირველესად ყოვლისა, ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობით აიხსნება. ქართველი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ აიძულა თურქი დამპყრობლები საქართველოს მიმართ თავისი თავდაპირველი გეგმა შეეცვალათ და ზოგან მაინც კომპრომისის გზას დასდგომოდნენ და მოხარკეობაა დასჯერებოდნენ. ოსმალეთი ანგარიშს უწევდა აგრეთვე კახეთის ურთიერთობას რუსეთთან. რომელიც სწორედ XVI ს-ის 80-იან წლებში მკვეთრად დაუპირისპირდა ოსმალეთს ამიერკავკასიაში. რუსეთის აქტიური გამოსვლა ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ასპარეზზე უდიდესი ფაქტორი იყო მუსლიმანური სახელმწიფოებით გარემოცულ საქართველოსათვის. ალექსანდრე კახთა მეფემ მოხერხებულად გამოიყენა ახლო აღმოსავლეთში ძალთა დაპირისპირება და „ხერხიანი გეგმაშეწონილი პოლიტიკით ალექსანდრემ იმას მაინც მიაღწია, რომ ოსმალო დამპყრობელი კახეთის შიგნით არ შეუშვა. ხონთქარი კახეთიდან ყოველწლიურ მცირე ხარკს დაკმაყოფილდა“ [4].

ალექსანდრე კახთა მეფე რეალისტი პოლიტიკოსი და დიპლომატი იყო. შაჰ-აბასის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში შემდეგნაირად ახასიათებს ალექსანდ-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ., II, გვ. 523.

[2] عالی نصرتنامی გვ. 81.

[3] იქვე.

[4] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნ. I, 1944, გვ. 22.

რე კახთა მეფეს: „ალექსანდრე ხანმა, წერს ისკანდერ-მუნში, რომელიც [illegible] სწორი მსჯელობით და გამჭრიახობით უგამოჩინებულესი ადამიანი [illegible] გაზრდათა და მოხუცთა შორის და ეშმაკობის და მოხერხების მხრივ ბებერი მგელი იყო, ქართლის მეფის (ვალის) სიმონ ხანის საწინააღმდეგოდ, გადააწყვიტა, რომ მისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა ოსმალეთისათვის მორჩილება გამოეცხადებინა, ...ოსმალეთის ხონთქარს ერთგულებას უცხადებდა... თუმცა ოსმალებს დამორჩილდა ალექსანდრე, მაგრამ მომავლის ფიქრიც ჰქონდა, კაცს შაჰის კარზე გზავნიდა, ერთგულებას უცხადებდა ხელმწიფეს, ძღვენსა და საჩუქარს აგზავნიდა და ხელმწიფური წყალობის ღირსი ხდებოდა“ [1]. მართალია, ისკანდერ მუნში ალექსანდრე კახთა მეფის საქმიანობას ირანული თვალსაზრისით აშუქებს, მაგრამ იგი ძირითადად სწორ შეფასებას აძლევს ალექსანდრეს პოლიტიკურ საქმიანობას და მის დიპლომატიურ ნიჭს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლალა მუსტაფა ფაშა თბილისის დაპყრობამდე თბილისს პირდებოდა ალექსანდრე კახთა მეფესა და იმერეთის მეფე გიორგის, მაგრამ თბილისის აღების შემდეგ ალექსანდრეს ქალაქის გადაცემის პირობად გამაჰმადიანება მოთხოვა. ალექსანდრემ უარყო ლალა ფაშას წინადადება [2]. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებდა, რომ ლალა ფაშა საქართველოს მეფეებს შორის ჭიშპსა და შუღლს თესავდა.

ქართული, ოსმალური, სპარსული და ევროპული წყაროების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობის შედეგად ოსმალეთსა და კახეთს შორის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე დამყარდა: ალექსანდრე კახთა მეფე ქვეყნის საშინაო საქმეებში სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა. კახეთის მიწები არ იყო აღწერილი და რეესტრებში გატარებული. ეს გარემოება იმის დამადასტურებელი იყო, რომ აქ მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ადგილობრივი ფორმები და საგადასახადო სისტემა ხელუხლებელი რჩებოდა. ოსმალებს არ შეეძლოთ ქვეყნის შიგნით შესვლა, გადასახადებით დაბეგვრა ან სხვა მსგავსი ღონისძიებების ჩატარება. ალექსანდრე კახთა მეფე ოსმალეთის სულთანის სასარგებლოდ ვალდებული იყო ორი მოვალეობა შეესრულებინა: 1. ყოველწლიურად ხარაჯა გადაეხადა, 2. სულთნის მოწოდებისთანავე მონაწილეობა მიეღო ლაშქრობაში.

ლალა ფაშას ლაშქარი შირვან-აზერბაიჯანისაკენ გაემართა. ოსმალო ჯარისკაცები სასტიკად იყვნენ დაქანცული და უკმაყოფილებას აშკარად გამოთქვამდნენ. ამასთანავე, მათ აკლდათ სურსათ-სანოვაგე. გზაში ოსმალთა ლაშქარს ქართველები და სპარსელები თავს ესხმოდნენ. ოსმალეთის ერთმა რაზმმა უარი განაცხადა შირვანში ლაშქრობაზე და უკან დაბრუნება დაიწყო. გზაში მათ ქართველები დაესხნენ თავს და თითქმის მთლიანად გაანადგურეს.

ოსმალეთის ლაშქარი ნელნელა წინ მიიწევდა. ოსმალებთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობდა ალექსანდრე კახთა მეფე. ლალა მუსტაფა

---

[1] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი ალებ არა-ი აბასი, თარგმანი ვ. ფუთურიძისა, გვ. 23.

[2] غالی نصرتنامی გვ. 78. J. Hammer, op. cit. v. VII. p. 85; Mufassal Osman tarihi, s. III, s. 1323, 1324.

[3] Minadoi, op. cit. p. 48.

ფაშამ ალექსანდრე კახთა მეფეს შაქის ციხის დაპყრობა დაავალა. კახელებმა შაქის ციხე დაიპყრეს. ლალა მუსტაფა ფაშამ შაქის სანჯაყბეგობა ალექსანდრეს შვილს ერეკლეს უბოძა[1].

ამ ღონისძიებით ლალა ფაშამ, ერთგვარად, დაკმაყოფილა ალექსანდრე მეფის მოთხოვნა კახეთისათვის დაკარგული ტერიტორიის დაბრუნების შესახებ. ეს თქმა უნდა, ეს იყო ლალა ფაშას მხრიდან მხოლოდ ლამაზი ჟესტი, სინამდვილეში შაქის ტერიტორიაზე სანჯაყის დაარსება მოწმობდა აქ ოსმალური ვამგებლობის შემოღებას. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ლალა ფაშამ შაქის სანჯაყი კახეთს კი არ დაუმორჩილა, არამედ შირვანის საბეგლარბეგოს.

ქართული წყაროები ნაწილობრივ ადასტურებენ ოსმალურ წყაროებში დაცულ ცნობებს. ახალი ქართლის ცხოვრების ე. წ. მესამე ტექსტში ვკითხულობთ: ალექსანდრე კახთა მეფე „შაქისა და შირვანზე წავიდეს... შირვანი დაიჭირეს, ციხე ააშენეს და ოსმან ფაშა შეაყენეს მისი ლაშქრით, და შემობრუნდენ. ალექსანდრეს შვილი არაგვამდის მიჰყვა და დაბრუნდა"[2]. ხოლო გიორგი ჭთაწმიდელის ოთხთავის მინაწერზე ვკითხულობთ: ოსმალებმა „შაქისი და კახეთი დაიჭირეს: ალექსანდრე მეფე კახეთისა მოეგება. წინაშემოეწყო მას. თეში (?) და შაქისი მას მისცეს"[3].

12 სექტემბერს ოსმალებმა არეში აიღეს. ლალა მუსტაფა ფაშამ აქედან ოსმალთა ლაშქარი სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნა და მათ მთელი რიგი ქალაქები დაიპყრეს, მათ შორის: შემახა, კაბალა, ბაქო, შაბურანი (შაბრანი), დერბენდი, მაჰმუდაბადი და სალიანი[4].

შირვან-აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ ოსმალები აქაც ოსმალური წესების შემოღებას შეუდგნენ. მათ ქვეყანა აღწერეს და საბეგლარბეგო დაარსეს. შირვანის საბეგლარბეგო 14 სანჯაყისაგან შედგებოდა და მისი წლიური შემოსავალი 247 ნახევარ იუქ ახჩას შეადგენდა[5].

ლალა მუსტაფა ფაშამ შირვანის გამგებლად დანიშნა ოსმან ფაშა.

ამავე დროს, აქ შემოღებულ იქნა ოსმალური მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობის წესები. ოსმალო მოხელეებსა და ჯარისკაცებს ებოძათ ხასები, ზიამეთები და თიმარები[6].

აღნიშნული ღონისძიებების ჩატარებას უნდა გაეპირობებინა აქ ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამყარება, ქვეყნის ინკორპორაცია.

ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალთა ამ ღონისძიებების გატარებას უარყოფითად შეხვდა და მათ წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლა გააჩაღა. ოსმალ-

---

[1] عالی نصرتنامی 83. 51; تاریخ پچوی H. Danişmend I, op. cit. c. III, s. 25. Mufassal Ostanli tarihi, c. III, s. 1325.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ., II, გვ. 523.

[3] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, გვ. 277.

[4] عالی نصرتنامی გვ. 36; H. I. Danişmend, op. cit. c. III, s. 26. 27; Mufassal Osmanli tarihi, c. III, s. 1327.

[5] تاریخ پچوی ტ. II, 83. 49, 50.

[6] იქვე.

თა ლაშქრის მდგომარეობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თანდათან გართულდა. 8 ოქტომბერს ლალა ფაშა იძულებული იყო შირვანიდან უკან გაბრუნებულიყო.

როდესაც ოსმალეთის ლაშქარი კახეთზე გავლით უკან ბრუნდებოდა „მუსტაფამ მაშინვე უბრძანა მთელ ჯარს, რომ თვითეულს, სიკვდილის დასჯის საშიშროების ქვეშ ეკრძალება ალექსანდრეს სამფლობელოში ვისმეს სიმშვიდის დარღვევა და ყოველი მათგანი ვალდებულია იყოს თავაზიანი და ზრდილობიანი"[1].

ლალა მუსტაფა ფაშას ასეთი დამოკიდებულება ალექსანდრე კახთა მეფის მიმართ აიხსნება არა მისდამი მეგობრული განწყობილებით, არამედ იმით, რომ ლალა მუსტაფა ფაშა შიშობდა, რომ თუ ოსმალეთის ლაშქარი კახეთის სოფლებს ძარცვას დაუწყებდა, მაშინ მოსალოდნელი იყო კახელების გამოსვლა ოსმალების წინააღმდეგ. ეს გარემოება კიდევ უფრო გააძლიერებდა ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს და ოსმალეთის მდგომარეობა ამიერკავკასიაში კიდევ უფრო გართულდებოდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ როდესაც ლალა ფაშა კახეთის სამფლობელოს საზღვრებში აღმოჩნდა, ალექსანდრე კახთა მეფემ ავადმყოფობა მოიმიზეზა და არ გამოცხადდა მასთან[2].

კახეთზე გავლით ლალა ფაშა თბილისში ჩავიდა. თბილისში მას საშინელი შიმშილი დახვდა. ჯარისკაცები ისე შიმშილობდნენ, რომ ჭამდნენ ძაღლებს, კატებს, ცხვრის ტყავს და სხვ. მრავალი ოსმალო მეცხოვნე ავადმყოფობით გარდაიცვალა. მინადოის ცნობით, ეს იმის გამო მოხდა, რომ თბილისის გამგებელმა მაჰმუდ ფაშამ მეცხოვნეებს აუკრძალა სიმაგრიდან გამოსვლა სანოვაგის საშოვნელად, მტრის შიშით. ლალა ფაშამ მეცხოვნეები გაამხნევა და მათ სურსათ-სანოვაგე დაუტოვა და თვითონ ორი დღის შემდეგ თბილისიდან გავიდა: ახლო-მახლო სოფლები დაარბია. გზაში ლალა ფაშას ლაშქარს ქართველი პარტიზანები თავს ესხმოდნენ და დიდ ზარალს აყენებდნენ.

ქართველების მიერ ოსმალებისათვის მიყენებული ზარალი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ კონსტანტინოპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩი 1578 წ. 2 ნოემბერს ჰენრიხ III ატყობინებდა: „ქალაქში გავრცელდა ხმები, რომ ქართველებმა ოსმალები დაამარცხეს და რომ ლალა ფაშა მოკლულია"[3].

ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობის მონაწილე და მისი აღმწერელი ალი, აგრეთვე, თანამედროვე თურქი ისტორიკოსები შირვან-აზერბაიჯანიდან ოსმალთა ლაშქრის სასწრაფოდ უკან დაბრუნებასა და გზაში განცდილ დამარცხებებს აბრალებენ ამიერკავკასიაში ადრე დაზამთრებას[4]. ეს მიზეზი უფრო თავის გამართლებას ჰგავს; სინამდვილეში, ოსმალთა წარუმატებლობა აიხსნება ამიერკავკასიის ხალხთა მედგარი ბრძოლით თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

ლალა ფაშა მუხრანზე გავლით გორში ჩავიდა. გორში ყოფნის დროს ლალა

---

[1] Minadoi, op. cit. p. 48.

[2] იქვე.

[3] E. Charrière. v. III, p. 665.

[4] عالى نصرتنامى 33. 100; I. H. Danişmend. op. cit. c. III. s. 27—28; Mufassal Osmanli tarihi, c. III s. 127, 1328.

ფაშასთან გამოცხადდნენ იმერეთის მეფე გიორგი და გურიის გამგებელი მაჭია. მათ სარდალს მორჩილება გამოუცხადეს[1].

გორიდან ლალა მუსტაფა ფაშა სამცხესაკენ გაემართა და ალთუხ ყალაში ჩავიდა. ლალა ფაშასთან შესახვედრად გამოცხადდა დედისიმედი ყვადყვარესთან ერთად, ოსმალო სარდალს ძღვენი მიართვა და ერთგულება და მორჩილება შესთავაზა. ლალა მუსტაფა ფაშამ თავაზიანად მიიღო ისინი. მან დედისიმედს მოსთხოვა, რომ მანუჩარი და ყვარყვარე სტამბოლში წასულიყვნენ. რათა სულთანს მათთვის წდალობა ებოძა[2].

1578 წლის 21 ნოემბერს ლალა მუსტაფა ფაშა არზუმში ჩავიდა. ამის შემდეგ ოსმალეთის ლაშქარი საზამთროდ დაბანაკდა. ლალა მუსტაფა ფაშამ სულთან მურად III ვრცელი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა ამიერკავკასიაში ჩატარებული ბრძოლებისა და დაპყრობების შესახებ. ლალა მუსტაფა ფაშას არზრუმში ჩასვლით დამთავრდა 1578 წლის ოსმალეთის სამხედრო ოპერაციები ამიერკავკასიაში.

* * *

როგორც ვნახეთ, ოსმალეთი მიზნად ისახავდა მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას. ამ მიზნით მოეწყო ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა 1578 წელს. ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობისას ოსმალები ახდენდნენ მის აღწერას, გადასახადებით დაბეგვრას, ვილაეთებად და სანჯაყებად დაყოფას, ოსმალური მართვა-გამგეობის შემოღებას და სხვ. მაგრამ ოსმალეთი ამიერკავკასიაში ყველგან ერთნაირად ვერ ახერხებდა თავისი მიზნის განხორციელებას. იგი ხშირად იძულებული იყო უკან დაეხია და ზოგან კომპრომისის გზას დადგომოდა. ეს, უპირველესად ყოვლისა, ამიერკავკასიის ხალხების მედგარი წინააღმდეგობით აიხსნება. ასეთ შემთხვევაში ოსმალეთი სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა: ქვეყნის მეფეებს თუ მთავრებს ოსმალეთთან დამოკიდებულების უფრო მსუბუქ ფორმას სთავაზობდა, ხოლო ქვეყნის გაბატონებული ფენის ერთ ნაწილს სხვადასხვა პრივილეგიებსა და შეღავათებს ანიჭებდა, რათა ამ გზით ისინი თავის სამსახურში ჩაეყენებინა და მათი დახმარებით მოეხდინა ქვეყნის დამორჩილება.

ოსმალეთის მთავრობამ ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიაში დაპყრობათა შედეგად 5 საბეგლარბეგო (ეიალეთი) დააარსა: ქართლის, კახეთის, შირვანის, აფხაზეთისა და ჩილდირის. მაგრამ ოსმალეთის მიერ შექმნილი ადმინისტრაციული ერთეულები ყოველთვის როდი შეესაბამებოდა რეალურ სინამდ-

---

[1] დასავლეთ საქართველოს ოსმალეთთან ურთიერთობის საკითხების გახილვა ცალკე ვვაქვს განზრახული. ჩვენ, ამჯერად, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების (იმერეთი, სამეგრელო, გურია) ოსმალეთთან დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა მოხარკეობის საფუძველზე იყო დაფუძნებული. ხოლო აფხაზეთში ოსმალებმა სოხუმის საბეგლაროები დაარსეს და მის გამგებლად ოსმალო მოხელე დანიშნეს.

[2] ყვარყვარესა და მანუჩარის სტამბოლში გაგზავნა გარკვეული პოლიტიკური მიზნებთან იყო დაკავშირებული. სულტანმა სამცხე-საათაბაგოში დაპყრობილ ტერიტორიაზე 1579 წ. ჩილდირის საბეგლარბეგო (ახალციხის საფაშო) დააარსა და მის გამგებლად მანუჩარი დანიშნა. იხ. მ. სვანიძე, ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსების ისტორიიდან, მაცნე, ტ. 3, 1964, გვ. 70—84.

ვილეს და იგი ხშირად მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ფაქტიურად ოსმალთა ბატონობა ამიერკავკასიაში ცეხე-სიმაგრეებით შემოიფარგლებოდა.

ამიერკავკასიის ხალხებმა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლა გააჩაღეს და სხვადასხვა საშუალებებით (ომი, პარტიზანული ბრძოლები, დიპლომატიური მოლაპარაკება) ცდილობდნენ ოსმალთა უღლისაგან თავის დაღწევას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 6. 9. 1963)

М. Х. СВАНИДЗЕ

ИЗ ИСТОРИИ ТУРЕЦКО-ПЕРСИДСКОЙ ВОЙНЫ 1578—90 гг. (поход Лала Мустафы Паши в Закавказье в 1578 г.)

Резюме

В связи с походом Лала Мустафы Паши в страны Закавказья и, в частности, в Грузию имеются многочисленные источники как на грузинском, так и на турецком, персидском и европейских языках. Однако, не смотря на такое обилие источников, этот вопрос не был предметом специального исследования, хотя некоторые вопросы этой проблемы были рассмотрены в трудах советских и зарубежных историков. В данной работе мы попытались в известной мере восполнить этот пробел. В работе особое внимание уделено вопросам турецко-грузинских взаимоотношений.

В 1578 г. в результате похода Лала Мустафы Паши турками было захвачено большинство Закавказских стран. Как и в других случаях, после завоевания страны османские чиновники стали производить перепись населения, вводить налоги, создавать санджаки и вилайэты, укоренять систему османского управления. Однако, следует отметить, что подобные действия турецких захватчиков часто встречали упорное и стойкое сопротивление местного населения, туркам не всегда удавалось осуществление своих мероприятий. Нередко туркам приходилось становиться на путь компромисса. В подобных случаях они прибегали к различным средствам — правителям завоеванных стран предлагалась более легкая форма взаимоотношения с Турцией, господствующему классу давались различные привилегии, дабы этим путем привлечь его на свою сторону и с его помощью осуществить покорение страны.

В результате похода Лала Мустафы Паши в Закавказье, было образованы 5 бегларбегств (эйалетов): Картли, Кахети, Ширван, Абхазия и Чилдыр. Однако зачастую существование османских административных единиц носило лишь формальный характер, фактически их господство ограничивалось насаждением крепостей.

Народы Закавказья встали на путь самоотверженной борьбы против турецких завоевателей и различными средствами (война, партизанское движение, дипломатические переговоры) старались освободиться от турецкого ига.